საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3944-18 "14" 12 2018 წ

შპს „ქართული ტვ"-ის

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 13 დეკემბერს, ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, გადაიდო 2018 წლის 20 დეკემბერს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება შპს „ქართული ტვ"-ისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამო, კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდში წინასაარჩევნო დებატების განუთავსებლობის და სამაუწყებლო ბადეში ახალი ამბების და საზოგადოებრივი-პოლიტიკური გადაცემის განუთავსებლობის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი №შ-10/6413-18; 3.12.2018).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (№შ-10/6413-18; 3.12.2018) - 1 ფურცელი.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

რეაგირებისათვის

კ. ბექაური
03.12.2018 წ.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის კონსტანტინე ქორიძის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობით დებატების პროგრამის ფორმატი არ არის განსაზღვრული, დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა სამაუწყებლო არხებზე განთავსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და გაანალიზებულ იქნა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობა სხვა და სხვა პროგრამებში. აღნიშნული შესწავლის საფუძველზე გამოირკვა, რომ შპს „ქართული ტვ"–ს ეთერში 2018 წლის 02 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით წინასაარჩევნო დებატები საერთოდ არ განთავსებულა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე 2018 წლის 27 სექტემბერს კომისიამ გადაწყვეტილებით N566/2 მოახდინა შპს „ქართული ტვ"–ს მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირება და ნაცვლად სპეციალიზებული მაუწყებლობისა მაუწყებლობის ქვესახეობად განესაზღვრა საერთო მაუწყებლობა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ შპს „ქართული ტვ"–ს ეთერში არ არის განთავსაებული არც ახალი ამბების და არც საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები, რაც საერთო მაუწყებლის ვლადებლებას წარმოადგენს.

დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ადგილი აქვს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევას.

გთხოვთ, აღნიშნული სამსახურებრივი ბარათი რეაგირებისათვის გადაეცეს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

პატივისცემით,

კონსტანტინე ქორიძე
03.12.2018

შემოსულია N 710/647 3.18
3 12 2018
1 ფურცელი